პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 288 (13980) | სამშაბათი, 12 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე

ი. ხაზარაძის ბრიგადის შესანიშნავი თაოსნობა

ბრიგადა კისრულობს:

□ ხუთწლედის ვალდებულება შესრულოს სამ წლიწადში; □ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე დანერგოს 210 რაციონალიზატორული წინადადება; □ ხუთწლედის ფონდში შეიტანოს 200 ათასი მანეთი.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების წინა დღეებში რესპუბლიკის რაციონალიზატორთა საუბნო-ლეო შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ხაზარაძე ხელმძღვანელობს.

ინიციატორებმა, რომლებსაც მრავალი მიმდევარი აღმოუჩენიათ, ერთიანთან გადაამეტეს სადღესასწაულოდ ნაკისრი ვალდებულებებს. მარტო სალიტერაციო ნაწილის ათ თვეში ბრიგადამ შეიმუშავა 85 წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დანერგა 64 და ამ გზით მიღებული ეკონომიით ვალდებულებით ნაკისრი 20 ათასი მანეთის ნაცვლად ხუთწლედის ფონდში შეიტანა 60 ათასი მანეთი. ბრიგადამ ერთიორად მეტი შავი და ფერადი ლითონი, ავრეთვე ძირითადი და დამხმარე მასალები დაზოგა, ვიდრე ვალდებულებით იყო ნაკისრი.

ამ დღეებში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ვრცელდება მოსკოველთა ინიციატივა ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ოსები ხაზარაძის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ ახალი შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა.

ბრიგადის წევრებმა გადახედეს უკვე მიღწეული შედეგებს, თავიანთ შესაძლებლობებს და ახალი გადადებული ვალდებულებები იკისრეს.

ი. ხაზარაძის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის რაციონალიზატორთა და გამოგონებელთა ყველა ბრიგადას, ყველა რაციონალიზატორს, წარმოების ნოვატორს ფართოდ გაანალონ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, საწარმოო პროცესების შემდგომი ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ლითონებისა და მასალების დაზოგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზაციისა და წარმოების სანიმუშო კულტურისათვის.

თითხმეტი კაცისაგან შემდგარმა რაციონალიზატორთა ბრიგადამ გადაწყვიტა ხუთწლედისათვის ადრე ნაკისრი ვალდებულება შესრულოს სამ წელიწადში და 1966-1968 წლებში შეიმუშაოს 200 წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დანერგოს სულ მცირე 150 წინადადება და ამ გზით მიღებული ეკონომიით დაზოგოს 100 ათასი მანეთი. თავიანთი წინადადებებიდან დანერგვით რაციონალიზატორები დაზოგავენ 150 ტონა შავ და 30 ტონა ფერად ლითონს, ცხელი საამქროებისათვის საჭირო 30 ათასი მანეთის ძირითად და დამხმარე მასალებს.

ბრიგადის წევრები კისრულობენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე — 1970 წლის 22 აპრილისათვის წარმოებაში დანერგონ 210 რაციონალიზატორული წინადადება და ამ გზით ხუთწლედის ფონდში შეიტანონ 200 ათასი მანეთი. ამასთან მიაღწიონ დანერგილ წინადადებათა სულ მცირე 90 პროცენტზე ეკონომიური ეფექტის გამოთვლას. წარმოებაში დანერგონ მძიმე შრომატევადი ოპერაციების მექანიზაციისაკენ მიმართული 20 წინადადება, ხოლო წარმოების კულტურის ამაღლებისა და სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზაციისაკენ მიმართული — 10 წინადადება.

ბრიგადის ვალდებულებაა წინადადებათა კოფორმებასა და დანერგვაში ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს ქარხნის 150 რაციონალიზატორს, ხოლო რაციონალიზატორულ მუშაობაში დამატებით ჩაბას 100 ახალგაზრდა ავტომშენებელი.

რაციონალიზატორთა შეჯიბრების მოთავეებმა ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბრძოლითი ნოგათები

თელავი. (საკ. კორ.). 280 ჰექტარზე უნდა გააშენონ წელს ვენახი თელავის რაიონის მეზარეებმა. შემოდგომისა და ადრე ზაფხთრის მშენებელი ამინდები მართლაც რომ მისწრება იყო ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად. კოლეიფრნეობათა უმეტესობამ კი თადარიგი უფრო ადრეც დაიჭირა, ჯუღაანისა და სანიორის კოლმეურნეობებმა 10-10 ჰექტარი ახალი ვენახი გააშენეს. ასევე იმარჯვეს შალაურის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მეენახეებმა და საზოგადოებრივ სექტორს 12 ჰექტარი ახალი ზეარი შემატეს.

ალაზნის ველზე ახლა მზიანი ამინდები დგას. მარჯვეობენ ყორფილაურელი, ვანთელი, ალიერელი, რუისპირელი, ფშავლელი კოლმეურნეები. დროოლად დაშლატენებელი ნიადაგი ნოლიანად გაიწმინდა ქვაღორღისაგან, მოსწორდა და ახლა წარმატებით მიმდინარეობს ვაზის რგვა.

ყვარელი. (საკ. კორ.). მდიდარი ტყის ბუნებრივი საფარით ყვარლის რაიონი. ბუმბერაზი კაკაბაინის ფერდობები მშვენიერი ფლორისა და ფაუნის სიმაყეს წარმოადგენენ. ყვარელელებს უყვართ მშობლიური ბუნება და აკი ამიტომაც ყოველწლიურად ახალ-ახალ ფართობებს მატებენ ბუნებრივ ზალეკოტს. მართო მიმდინარე წელს მაო 100 ჰექტარზე მეტ ფართობზე გააშენეს ხელოვნური ტყე.

სიღნაღი. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც ალბეთში და კურძოდ სიღნაღის რაიონში ფეხი მოიკიდა სუბტროპიკული რაიონებისათვის დამახასიათებელმა ხეხილმა — ხურმამ და ციტრუსოვანმა. ურწყავ ნიადაგებში გაბარებული სურნელოვანი ხეხილი ზომაზე მეტად ტკბილია.

ქვემო მაჩხანალ კოლმეურნეობას, რომელსაც ეს კოლმეურნეობა, 7 ჰექტარზე აქვს გაშენებული, 30 ცენტნერი ხილი უნდა მიეღო 1 ჰექტარზე. ფაქტიურად 80 ცენტნერზე მეტი ხურმა და ციტრუსი მიიღო.

ზამთარი კლანტაციებში

პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ორგზის ლენინის ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. შემოქმედებითი, დაუღალავი შრომის შედეგად საიუბილეო, 1967 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის პროცენტი. საიუბილეო ზეიმის დღისათვის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სამშობლოს უპატაკეს მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ზაჭრის ჯიშის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება.

და ახლა, როცა სამეურნეო წელი იწურება, გაჩაღებულია დიდი მუშაობა ყველა დარგში დასახული დავალების გადაჭარბებით განაღდებისათვის. სოფლის მეურნეობაში კვლავ წარმოიშვა ინიციატივა, რომელიც გულისხმობს წარმოების სტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფას, წარმოებაში ყოველივე მნიშვნელოვანის დანერგვას, რაც მეცნიერებამ და პრაქტიკამ მოგვცა.

ეს იყო საფუძველი, როცა ამას წინათ გორელებმა და საბარეჯოელებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს ახალი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1968 წლისა და ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ამ თაოსნობას მხარს უჭერენ სოფლის მშრომელები და აძლიერებენ მუშაობის ტემპს ყველა დარგს მძლავრი აღმავლობისაკენ.

დაბა ზამთარი. ეს პერიოდი საუკეთესო დროა იმისათვის, რომ შეჯამნათ მეტიცე საფუძველი 1968 წლის უხვი მოსავლისათვის. ამ პერიოდში დიდი და პასუხსაგები სამუშაოებია ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში. თუ ჩვენმა მეჩაიეებმა წელს უხვი მოსავლით გაგვახარეს, შემდგომ წლებში მათგან სამშობლო მოელის უფრო მეტ წარმატებებს. გონივრულად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ 1970 წელს 1965 წელთან შედარებით ჩაის ფოთლის შესყიდვა გაიზრდება 26 პროცენტით და მეტად, ხოლო ციტრუსოვანთა ნაყოფისა — 36 პროცენტით.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებასთან ერთად უნდა გაიზარდოს ხარისხოვანი მზა პროდუქციის გამოშვება. რესპუბლიკის ჩაის მრეწველობამ 1966 წელს ქვეყანას მისცა 55.000 ტონა შავი ბიიხო და 9.545 ტონა მწვანე აგური ჩაი. მაგრამ ჩაის მრეწველობა მომხმარებლების წინაშე მაინც ვალშია, განსაკუთრებით შავი ბაიხო ჩაის წარმოების დარგში.

ამ ამოცანების განხორციელებაში დიდია მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების როლი. როგორც ცნობილია, ჩაის მცენარეს ზამთარში აქვს ეგრეთწოდებული შესვენების პერიოდი. მაგრამ მეჩაიეები როდი ისვენებენ. პირიქით, სეზონული შრომა უნდა გასწორონ იმისათვის, რომ პლანტაციებში ყველა სამუშაო დროზე, აგროტექნიკური მოთხოვნების საფუძველზე შესრულდეს. სწორედ ამ შემოხვევაში მოგვცემენ ჩაის ბუჩქები უხვ მოსავალს.

თხუთმეტი ნოემბრიდან დაწყებული თებერვლის ბოლომდე ჩაის პლანტაციებში მიმდინარეობს სხვადასხვა სამუშაო: ნიადაგის გადაბარვა, სასუქების შეტანა, სიმეჩხრის ლიკვიდაცია, გასხვლა. დეკემბერი გადამწყვეტი თვეა ჩაისა და ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გაშენების 1967 წლის დავალებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ამას ამთავითვე კარგად ითვალისწინებენ მეჩაიეობის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. მაგალითად, მახარაძის რაიონის ნატანებისა და მელექედურის, წყალტუბოს რაიონის სოფლების რაიონისა და გვიშტიბის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების ნიადაგის გადაბარვა მთავრდება, სასუქები შეაქვთ შედგენილი კარტოგრამების მიხედვით. ასე გულმოდგინედ იმუშავეს წინა წლებშიც. ამის შედეგად 1967 წელს სოფელ რიონის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 6.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო მელექედურის კოლმეურნეობაში — 7.050 კილოგრამი.

მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ საქმის ინტერესები მოითხოვს ყურადღება გავამახვილოთ გასაკეთებელზე, ჩამორჩენილ უბანზე. მართალია, წელს მეტად არახელსაყრელი ამინდი იყო და ეს აფერხებდა უფრო მეტი წარმატების მოპოვებას, მაგრამ ყველაფერი არ შეიძლება ამინდს გადავაბრალოთ. სოფლის მეურნეობაში მთავარია ხელიდან არ გავუშვათ არცერთი ხელსაყრელი დღე, საათიც კი დასახული სამუშაოს შესრულებისათვის. ხდება ხოლმე, რომ დღევანდელ საქმეს ხვალისათვის გადადებენ. ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ამა თუ იმ მეურნეობას — გეგმები შეუსრულებელი დარჩეს.

სამეურნეო წლის დასასრულამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. რესპუბლიკის მეჩაიეებმა უნდა გაძლიერონ ნიადაგის გადაბარვისა და სასუქების შეტანის სამუშაოები. მაგრამ სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ამჟერად საყოველთაო სამართლიანი იქნება ჩვენ მეჩაიეებს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მისამართით, როცა ვილაპარაკეთ ფაქტების ენით. რესპუბლიკაში გეგმით უნდა გაშენდეს 1.497 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. ეს დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული. ჩაის პლანტაციების გაშენებაში დიდი ჩამორჩენაა საბჭოთა მეურნეობებში. 1 დეკემბრისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 7,7 პროცენტით.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აბაშაში. ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა შესრულებულია 70 პროცენტზე მეტით. აფხაზეთში კი სულ სხვა სურათია. 1 დეკემბრის ცნობებით, დავალება შესრულებული იყო მხოლოდ 6,1 პროცენტით. აფხაზეთის სახელოვანმა მეჩაიეებმა უნდა მიიღონ ზომები ჩამორჩენის დასაძლევად. ყოველი ღონისძიებით უნდა შესრულდეს დასახული გეგმა! ასევე უნდა მოიქცნენ გეგეჭკორის, ხობის, ჩხოროწყუს, სამტრედიის, წულუკიძის რაიონების მეჩაიეები, რომლებსაც ჩამორჩენა აქვთ.

ამასთან ერთად ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენების გეგმის შესრულებაც საფრთხის წინაშეა. 1 დეკემბრისათვის გაშენებული იყო 678 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.188 ჰექტარისა. ამ მხრივ სერიოზული ჩამორჩენაა კოლმეურნეობებში. აქედან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში სადღეისო, გადაუდებელი სამუშაოებია. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ყველა დავალება უთუოდ შესრულდეს. ამისათვის საჭიროა შრომის სწორი ორგანიზაცია, ძალებისა და საშუალებების გონივრულად განაწილება, ახალი რეზერვების ამოქმედება. აუცილებელია ვიცოდეთ ყოველი მეურნეობის გაძლილა შემოქმედებითად, სარგებლობით. ესე იგი სახალხო კაპიკი, რომელიც მეურნეობის ხელმძღვანელს ანდეს, გადაიქცეს ორ კაპიკად. ეს პირველი ნომერი მოთხოვნაა ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისადმი, მათი ხელმძღვანელებისადმი. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სამეურნეო მუშაკები უნდა აღზარდონ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, ხელი შეუწყონ მათში ეკონომიური აზროვნების განვითარებას, დანახარჯისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

ეკონომიურმა ღონისძიებებმა, რომლებსაც პარტია ახორციელებს სოფლის მეურნეობის დარგში, ხელსაყრელი პირობები შექმნეს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისათვის. დაგეგმვისა და მართვის ახალი პრინციპები ფართო ასპარეზს უქმნიან ინიციატივას, თაოსნობას. ამ საფუძველზე განუზომლად უნდა გაიზარდოს შესაძლებლობანი წარმოების ნამდვილად მეცნიერიული ორგანიზაციისათვის თვითეულ მეურნეობაში. ეს კარგად უნდა გათვალისწინონ ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა და ენერგიულად იშრომონ იმისათვის, რომ მომავალ წელს კვლავაც გაგვახარონ ახალი, დიდი წარმატებებით.

ლ. ი. ბრეჟნევი პრაღაში

პრაღა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად იყო პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით, ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. ა. ნოვოტნის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ი. ლენარტს და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრებს. საუბრების დროს განხილულს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთი საკითხი.

საუბრები მიმდინარეობდა ამხანაგური გულახდილობისა და გულითადი მეგობრობის ატმოსფეროში.

შაბათს, 9 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ვასმამი გაუმართა სატანო სტუმრებს. ვახშამზე ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნოვოტნიმ წარმოთქვეს სადღეგრძელოები.

იმავე დღეს საღამოს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს გაფრინდა.

10 დეკემბერს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა. (საკდესი).

მეგობრული ვიზიტით

სოფია. ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვეულთ თურთქეტ დეკემბერს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი.

ბელორუსიის ვოკზალზე დელეგაციას დახვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი და სხვები.

ვოკზალზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყაიანული და შესრულდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).



კემეროვოს ოლქი. კუზნეცკის ფეროშენადნობთა ქარხანა დასავლეთ ციმბირის შავი მეტალურგიის მოწინავე საწარმოა. კარგი შრომითი საქმეებით აღნიშნეს ქარხნის მუშაკებმა საბჭოთა სახელმწიფოს იუბილე. **სურათზე:** ჩერკასოვი ხელმძღვანელობს ფეროსილიციუმის ჩამოსხმას პირველ საამქროში. ფოტო ა. კუზნიარინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ნალბანდიანელები საქართველოში

ოცდაათი წლის მეგობრობა აკავშირებს სომხეთის სსრ ჰოკტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანისა და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობების მშრომელებს. ამას წინათ ნატანებელები სტუმრად იყვნენ ნალბანდიანელებთან.

ამჟერად კი ნატანებს ნალბანდიანელები ესტუმრნენ. დელეგაციაში, რომელსაც ნალბანდიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. მირტიჩიანი ხელმძღვანელობს, 14 კაცი შედის.

სტუმრები დაესწრნენ ნატანების კოლმეურნეობის იმ სამასი წევრის ძეგლის გახსნას, რომლებიც სამამულო ომში დაიღუპნენ. სომეხმა კოლმეურნეებმა ნატანელებთან ერთად ობელისკთან დარგეს 300 ციტრუსის ხე.

ნატანების ახლადაგებულ კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო კრება. მოხალენებით ნალბანდიანისა და ნატანების კოლმეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების 30 წლისთავი გამოვიდა ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ყიფლიძე.

საზეიმო კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ნატანელელ კოლმეურნეთა პირველი დელეგაციის მონაწილე, რომელიც ამ 30 წლის წინათ ნალბანდიანში იყო სტუმრად, მეჩაიე შ. კეპაჯანტირაძე, ნალბანდიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. მირტიჩიანი. საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოლიძე და სხვები.

11 დეკემბერს, სომხეთში დაბრუნების წინ, სომეხ კოლმეურნეთა დელეგაცია და მათთან ერთად სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ყიფლიძე, წარჩინებული მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი დ. ტაბიძე და სხვა ქართველი კოლმეურნეები მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. ბ. ბიბიშერიამ. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

ოთხ წელიწადში

საგარეჯოელთა თაოსნობის პასუხად

საბჭოთა სამშობლოს 50 წლისთავი ჩვენმა შრომელებმა ახალი, დიდი გამარჯვებებით აღნიშნეს. საზეიმო დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს სამხსოვრო დროსა გადმოგვცა საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის მერეკლემა მდივანმა ვ. უნგიაძემ. კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციას კი საქართველოს აკკა ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ვიმპელი გადაეცა.

ეს დიდი ჯილდოები ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად ალგეგზფრთოვანებს. კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ასევე წარმატებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საუბილეო წლის გეგმები.

შემოსავლის ძირითადი წყაროა თამბაქო. წინა წლებში და წელსაც თამბაქოს დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეთ. პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ასეთი ზრუნვისათვის ახალ შრომით საჩუქრად ვუმზადებთ. საბარეჯოელთა თაოსნობას დიდი ინტერესით გავეცანით და ახალი ძალით გავაჩაღეთ სოციალისტურ შრომა. გადავწყვიტეთ ახალი ხუთწლიანი გეგმა ერთი წლით ადრე, ოთხ წელიწადში შეგასრულოთ ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

კომკავშირულ-პარტიული რგოლი, რომლის საპატიო წევრები არიან ჩვენი ვეტერანი კოლმეურნე ნატალია მოდებაძე და, სხვა კავშირის ჩემპიონი ჭაღიაანი-ქალთა შორის ნ. ალექსანდრია, არა მარტო სოფელში და რაიონში, მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი თავისი წარმატებებით. ამ რგოლის ხელმძღვანელი ციური ტალახაძე ამას წინათ დაჯილდოვდა საკავშირო აღკა ცენტრალური კომიტეტის პირველი ხარისხის სიგელითა და სამკერდე ნიშნით. ჩვენი სოფლის ახალგაზრდების ეს წარმატება მოპოვებულია ენერგიული, დაუღალავი შრომით. რგოლმა ხუთწლედის დავალებათა ოთხ წელიწადში შეასრულებისათვის ბრძოლა კარგახანია დაიწყო. ჩვენი ახალგაზრდები შრომის მაგალითებს გვიჩვენებენ, ავანგარდში არიან.

ჩვენი ახალი ვალდებულებაა ასეთია: 1969 წელს სახელმწიფოს ნაცვლად 330 ტონისა 430 ტონა თამბაქოს მიყიდვით, ჰექტარზე ნაცვლად 16 ცენტნერისა მოვიღებთ 23 ცენტნერ მარცვლეულს. ასევე ვადაზე ადრე ადრე და ბადაკარებებით შესრულდება ხუთწლედის სხვა დავალებანიც.

ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაწელილ სოციალისტურ შრომაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან მექანიზატორებმა. მარცვლეულის წარმოება ხელით შრომის გამოუყენებლად, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით ხდება. მექანიზაცია სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს მეთამბაქოეობაში, მევენახეობასა და მეცხოველეობაში.

საშემოდგომო ხვნა-თესვის შემდეგ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მანქანები მთლიანად შეკეთდა. გამოსაფხურებდა თუ არა, აგროვადებში შეასრულეთ ყველა სახის სამუშაოები. მანამდე კი ჩვენი კოლმეურნე ახალგაზრდები კონკურენტად შეისწავლიან საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას და წარმოებაში დანერგავენ, რომ უფრო ბარაქიანი იყოს ხუთწლედის მესამე წელი. სოფელ ჯოიბარებაში ვიწვევთ სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობის მშრომელებს.

ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის

საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

8 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემენოვმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს სსრ კავშირში ლ. ე. ტომპსონს გადასცა საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. განცხადებაში უარადდება ექცევა ნეონაცისტური და მილიტარისტული ძალების აქტივობის მკვეთრ ზრდას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ.

საბჭოთა მთავრობამ, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა, ნათქვამია განცხადებაში, არა ერთხელ მიაპყრო ყურადღება იმას, რომ დასავლეთ გერმანიაში შექმნილია ნაცისტურ ორგანიზაციათა და დაჯგუფებათა საქმიანობის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის იდეოლოგიის აღორძინების, აგრესიული საგარეოპოლიტიკურ და სამხედრო დოქტრინათა ჩამოყალიბების ყველაზე ხელშემწყობი გარემო.

დღეს ხალხები დგანან ახალი ფაქტის წინაშე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სახელმწიფო ასპარეზზე გამოვიდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტია — ჰიტლერული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პირდაპირი მემკვიდრე. 10-12 ნოემბერს ჰანოვერში გაიმართა ამ პარტიის ყრილობა. ეს თავყრილობა სრულიად ლეგალურად მიმდინარეობდა და, უფრო მეტიც, ოფიციალურ ხელისუფალთა მფარველობით.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა იცოდეს ფაქტები, რომლებიც ამ გამომწვევ ნაცისტურ დემონსტრაციას ეხება. ყოველ შემთხვევაში, პოტსდამის შეთანხმების მონაწილე არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გვერდი აუაროს მათ.

როგორც ჰანოვერის ყრილობაზე გაანცხადეს, ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადაწყვიტა „თავი არ შეიბოჭოს განსაზღვრული ჩარჩოებით“ საზღვრების გადაკეთების დროს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მას ჰიტლერზე ნაკლები პრეტენზიები ჰქონდეს. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურთა სიტყვებში უკვე ახლა გაისმის პრეტენზიები ევროპის აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ისეთ ოლქებზე, რომლებზეც პირველ ხანებში „მაინ კამპფის“ ავტორიც კი დუმილს ამჯობინებდა.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დოკუმენტები, რომელთა მომზადებაში, როგორც გამოცხადებულია, ბუნდესვერის ოფიცრები მონაწილეობდნენ, აშკარად მოითხოვენ „გერმანიის გენერალური შტაბის“, „ეროვნული უმაღლესი სარდლობის“ აღდგენას, კიდევ უფრო მძლავრი სამხედროსამრეწველო მანქანის შექმნას.

აღადგინონ ჰიტლერელ მოძალადეთა და მკვლელთა „ღირსება“, აღზარდონ „ახალი ცვლა“ გერმანული მილიტარიზმის ავანგარდ ტრადიციებზე, უზრუნველყონ ბუნდესვერის გაბატონებული მდგომარეობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ამ ქვეყნის მტკიცე წესწყობილებისათვის“ — ასეთია იმ მოთხოვნათა არასრული სია, რომლებიც ოფიციალურად გამოცხადეს ჰანოვერის ყრილობის ტრიბუნებიდან.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ერთიანი და იზოლირებული მოვლენა როდი, ნათქვამია შემდეგ საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, მისი შექმნა, არსებობა და საქმიანობა ეს მხოლოდ ყველაზე დამახასიათებელი ტენდენციაა მთელი დღევანდელი დასავლეთგერმანული სინამდვილის ფონზე, სინამდვილისა, რომელიც გაუდენთილია მილიტარიზმის, რევანშიზმისა და ალეარიახსნილი ნაციონალ-შოვინიზმის სულისკვეთებით.

ოცდაათიოდე წლის წინათ შოვინიზმისა და კაცთმოძულეობის შხამმა მოწამლა გერმანელი ხალხის დიდი უმრავლესობის შეგნება, მოადუნა მისი გრძნობა ნამდვილი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა იმისათვის, რაც ხდებოდა ამ ქვეყანაში. ნაციზმმა დაიწყო იმით, რომ ყლეტდა ცალკეულ პოლიტიკურ მოღაწეებს, მერე კი მასობრივი ტერორის რეჟიმი დამყარა გერმანიაში. ჰიტლერელებმა ჯერ გამოაცხადეს ტერატორიული პრეტენზიები, მერე კი ცდილობდნენ გაენადგურებინათ ან დაემონებინათ მთელი ხალხები.

როგორც უკანასკნელი ამბები მოწმობენ, წარსულის აჩრდილები ცოცხლდებიან დასავლეთ გერმანიაში.

რა თქმა უნდა, მოულოდნელად და მით უმეტეს სტიქიურად ვერ მიეიჩნევთ რევანშისტული ძალების ახლანდელ თარეშს, როცა თვით ფედერალური მთავრობა მთელ თავის პოლიტიკას საფუძვლად უდებს ევროპის სახელმწიფოთა ახლანდელი საზღვრების არცნობას.

ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწენი უარობენ ნეონაცისტურთან პოლიტიკურ ნათესაობას და ზოგჯერ სტაყვით კიდევაც კიცხავენ მას. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თვით მეთაურები არ მალავენ, რომ მათს მოთხოვნებსა და მთავრობის პარტიას — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის საბოგრამო დებულებებს შორის არ არის არსებითი განსხვავება. საბჭოთა მთავრობა უარყოფს რევანშიზმს, მის ყველა სახეობასა და გამოვლინებას, როგორც უნდა ჰქვიოდეს მას და ვინც უნდა განასახიერებდეს პერსონალურად.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ნეონაცისტური საფრთხის კერის შექმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ნეონაციზმის გავლენის გაძლიერება პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მისი მისწრაფება ხელი იგდოს ძალაუფლება — დასავლეთ გერმან

ტრადიციების ერთგულნი

ჭიათურაში არის მაღარო, რომელიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის მ. ი. კალინინის სახელს ატარებს. მაღაროს კოლექტივი ამაყობს თავისი შრომითი და რევოლუციური ტრადიციებით, რომლებსაც ღირსეულად იცავს და აგრძელებს.

ეს მაღარო ერთ-ერთი უძველესია ჭიათურაში. მისი მარგანეცი განთქმულია საუცხოო თვისებებით, მაღალი ხარისხით. ჩვენმა სახიერადულო მგოსანმა აკ. წერეთელმა პირველად სწორედ აქ დაიწყო მოპოვება მარგანეცისა, რომელიც იმ დროს პოეტის სახელით გავიდა ევროპაში.

მაღაროს კოლექტივი შრომისა და ბრძოლის მუდამ წინა ხაზზე იდგა და არის. პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე აქ ეწყობოდა ბოლშევიკთა არალეგალური კრებები, დისკუსიები, გაფიცვები, ვრცელდებოდა პროკლამაციები. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა მაღაროს წიაღში წელს ნაპოვნმა შრიფტმა და სტამბის მოწყობილობამ, რომელიც ბოლშევიკებმა 1913 წლის დიდი გაფიცვის დროს აქ გადამალეს. ამ საინტერესო რელიკვიამ, რომელიც 54 წელი მიწის წიაღში ინახებოდა, მაღაროელებს კიდევ უფრო შეაუვარა თავისი საწარმო.

აქაურმა ბევრმა მაღაროელმა სამამულო ომშიც ისახელეს თავი. აქედან წავიდა ფრონტზე მამაცთა სიკვდილით დაცემული, საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ბოლაძე, რომლის ბიუსტი მაღაროს სკვერს ამშვენებს. ამ ჭაბუკის უმანკო სიხსნლმა და თავდადებამ მაღაროს კოლექტივი სამუდამოდ დაამეგობრა მომძე ბელორუსიის სოფელ დუროგოსთან, რომლის მიწაში განისვენებს ქართველი გმირი და რომლის საფლავზე ძეგლი აღმართული.

სახელოვანი ტრადიციები შთააგონებენ კალინინელებს იმუშაონ შეუპოვრად. ასეც იქცევიან. მაღაროელებმა ხუთჯერ ზედიზედ მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მათ სადღესასწაულოდ შეასრულეს სახაქონლო მარგანეცის დამზადების წლიური დავალება. მაღაროში ამყამად ფრიალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო სამახსოვრო დროშა.

კალინინელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოველთა კეთილშობილურ თაოსნობას და ხუთწლიანი გეგმის ექვსი თვით ადრე შესრულება ჟესრეს. ერთი წლის მუშაობის შესაჯამებლად, ახალი რეზერვების გამოსავლინებლად, ნაკლოვანებათა პირუთვნელი მხილებისა და მათი გამოსწორების გზების დასაზვისათვის შეიკრიბნენ მაღაროელი კომუნისტები საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

№ 26 მაღაროში მუშაობს 79 კომუნისტი, სწორედ მათი მარჯვენის მადლი და ორგანიზატორული უნარის ნაყოფია კალინინელთა წარმატებანი. სწორედ ისინი შრომობენ სანგრევებსა და ლავებში. ისინი რაზმავენ უპარტიო მაღაროელებს, ისინი წყვეტენ აღმავლობის ბედს.

პარტიული ბიუროს მდივანმა, სამთო ინჟინერმა გ. გამეზარდაშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში გაწეულ საქმიანობაზე. მან აღნიშნა, რომ ყველა წარმატების სული და გული, ყველა სიახლის თაოსნები და ხორცისშემსხმელები კომუნისტები არიან. სახიამოვნოა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციის ყველა კომუნისტი მიწის წიაღში, ფიზიკურად მუშაობს და ყველა ასრულებს დავალებას. შეუპოვარი შრომის საუცხოო ნიმუშებს იძლევიან მაღაროელი კომუნისტები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შვიდი ორდენისა და მედლის კავალერი მ. ღუღუნიშვილი, ე. და ტ. გაფრინდაშვილები, დ. შეყილაძე, გ. ჩუბინიძე, ლ. მიროტაძე, ი. გურული, თ. გოქსაძე, ა. მაჭარაშვილი და სხვები. ისინი არა მარტო თვითონ შრომობენ მაღალნაყოფიერად, რენტაბელურად, არამედ რაზმავენ უპარტიო ამხანაგებს, წინ უძღვებიან მათ სიძნელეთა დაძლევაში. მათი ერთსულოვანი, ხელიხელჩაკიდებული შრომით მაღაროს კოლექტივმა სამი თვით ადრე შეასრულა ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალება, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 12 პროცენტით, დაზოგა 215 ათასი მანეთი.

პარტიული ბიუროს საიმედო დასაყრდენია 16 პარტიული ჯგუფი, რომელთაგან უნარიანი, ორგანიზატორული მუშაობით გამოირჩევიან ის ჯგუფები, რომლებსაც ბ. ქველაძე, ე. გაფრინდაშვილი, მ. კუკავაძე, ს. გაფრინდაშვილი უძღვებიან. მათ კომუნისტები გაწაწილებული ჰყავთ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, უსმენენ მათს ხმას, იციან მათი ფიქრი, ზრახვები, უყურადღებოდ არ რჩებათ მათი შენიშვნები, სიგნალები.

მადნის სანგრევებში მაღაროელებთან შინაარსიან და მიმზიდველ საუბრებს აწყობს 21 პოლიტინფორმატორი თუ აგიტატორი. ისინი პოლიტიკური ინფორმაციებთან ერთად მაღაროელებს ესაუბრებიან წარმოების ეკონომიური ეფექტურობის საკითხებზე, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მომჭირნეობის გზებზე, წარმოების კულტურასა და შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაზე, კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე, მაღაროს სახელოვან ტრადიციებსა და მომავლის ამოცანებზე.

კრებაზე არც ნაკლოვანებები მიუჩქმალავთ. საანგარიშო პერიოდში პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს მხოლოდ 3 ამხანაგი. ეს ადამიანებთან, ახალგაზრდა მაღაროელებთან სუსტი მუშაობის ნაყოფია.

ჭიათურელ მაღაროელთა საიუბილეო ვალდებულებების ერთ-ერთი ძირითადი მუხლი იყო შრომის დისციპლინის დამრღვევთა რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება. თუ გასული წლის 10 თვეში დისციპლინა დაარღვია 89 კაცმა, წელს მათი რიცხვი 38-მდე შემცირდა, მაგრამ ესეც არ შეჰფერის ჩვენს ქვეყანაში ცნობილ მაღაროს კოლექტივს, მით უმეტეს, რომ უდისციპლინოთა შორის, სამწუხაროდ, ვხვდებით კომუნისტებს გ. შუკაკიძეს, ბ. ჭიტაძეს, ხ. გაბრიჭიძეს. ეს სამარცხვინოა და აღარ უნდა გამეორდეს.

ამ ხარვეზებსა და ჩრდილოვან მხარეებზე გაბედულად, პირუთვნელად ილაპარაკეს როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა კომუნისტებმა დ. შეყილაძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, გ. ჭუმბურიძემ, პ. მეცხოვრიშვილმა, შ. ბოყოველმა, ი. დოხნაძემ, გ. მიროტაძემ.

პარტიულ კრებაზე პრინციპული დავა გამოიწვია ერთმა საკითხმა. საქმე ის არის, რომ ბოლო თვეებში ჩამორჩნენ მეოთხე და მეხუთე საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც შ. ბოყოველი და ი. დოხნაძე ხელმძღვანელობენ. მარგანეცის ტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილებამ ამ უბნებში დანერგა მარგანეცის სატვირთო მცირეგაბარიტიანი მანქანები. ეს კარგი საქმეა და მას ყველა მიესალმა. მაგრამ ეს მანქანები საპროექტო სიმძლავრით ვერ მუშაობენ. ეს ერთი მხრივ გამოწვეულია მანქანების ცუდი მოვლა-პატრონობით, უდიერი ექსპლოატაციით, ხოლო მეორე მხრივ თვით ახალი მანქანის სუსტი კონსტრუქციით. საწარმოო უბნების უფროსებმა შ. ბოყოველმა და ი. დოხნაძემ სწორედ ამ ორი უკანასკნელი მიზეზით ახსნეს მათი უბნების ჩამორჩენა და გადაჭრით მოითხოვეს საქმეში მარგანეცის ტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილების ჩარევა.

მაღაროს პარტიული ბიუროს ანგარიში კრებამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მიიღო სათანადო დადგენილება. პარტიულ კრებაზე ნათლად იგრძნობოდა, რომ მაღაროელი კომუნისტები სახელოვანი შრომითი და რევოლუციური ტრადიციების ერთგულნი არიან და კვლავაც იქნებიან მაღაროს კოლექტივის ავანგარდში.

პ. ბიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მკითხველები გვწერენ

გუშინდელი ფოსტიდან

◆ **საიუბილეო** წლის პირმშოა საჩხერის საკონსერვო ქარხანა. მისმა ახალგაზრდულმა კოლექტივმა პირველ სეზონშივე 24 მარკის პროდუქცია გამოუშვა. საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რომ მოცული კომპოტი პირველად რესპუბლიკაში საჩხერის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა. სპეციალისტების აზრით, იგი სამკურნალოც არის და სურნელოვანიც.

ჟ. პაიჭაძე.

◆ **საქართველოს** სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საუკეთესო საკოლმეურნეო ბაზრის სახელწოდება და პირველი ფულადი პრემია მიაკუთვნა ქალაქ ქუთაისის პირველ საკოლმეურნეო ბაზრს. მეორე-მესამე პრემიები მიეკუთვნათ ქალაქ გორისა და ქალაქ სამტრედიის საკოლმეურნეო ბაზრებს.

კ. გაზდელიანი.

ემზადებიან საბჭოთა არმიის ვეტერანები

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავისათვის მზადების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ სამხედრო-მეთოდური საბჭოს სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები — თადარიგისა და გადამდგარი გენერლები და ოფიცრები, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის, რესპუბლიკის სამოქალაქო დაცვის შტაბის, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსის პოლკოვნიკ მ. იაშვილის მოხსენება საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესახებ, თადარიგის გენერალ-მაიორის ნ. თავართქილაძის ინფორმაცია, რომ დამტკიცდა სამხედრო მეთოდური საბჭოს გეგმა ისტორიული თარიღისათვის — საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. თადარიგის პოლკოვნიკის შ. პაპიძისა და თადარიგის გენერალ-მაიორის კ. ჯანუას ინფორმაციები, თუ როგორ მიმდინარეობს სამხედრო პატრიოტული მუშაობა ახალციხისა და გეგეჭკორის რაიონებში.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს გენერალ-მაიორმა ი. შაიშმელაშვილმა, თადარიგის გენერალ-მაიორებმა დ. შანშაშვილმა, პ. აბრამიძემ, თადარიგის კონტრ-ადმირალმა მ. ჯინჭარაძემ, თადარიგის პოლკოვნიკებმა ნ. ხარიძემ, მ. ხუროცლავამ, ლ. გოგატიშვილმა, თადარიგის მაიორმა ა. კოკილაშვილმა და სხვებმა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სამხედრო-პატრიოტული მუშაობა კარგად მიმდინარეობს რუსთავში, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ახალციხისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ სამამულო ომის ვეტერანები. ისინი ხვდებიან ახალგაზრდობას, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების კოლექტივებს.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა საკრებულო დაფების ათობით მუზეუმი და კუთხე, დაიდგა ობელისკები და გაიხსნა სტენდები, რომლებიც უკვდავყოფენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ თანამემამულე მეომრების ხსოვნას. გაშენდა ბაღები, წყაროებს დაერქვა იმათი სახელები, ვინც ომიდან არ დაბრუნებულა. გმირი მეომრების სახელებს ატარებენ კოლმეურნეობები, სკოლები, მოედნები, ქუჩები.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავის აღსანიშნავად სამხედრო-მეთოდური საბჭო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში აწყობს ლექციებისა და მოხსენებების ციკლებს, რადიო და ტელეგადაცემებს. (საქდესი).

ახალგაზრდები ჯარში მიდიან

დიდი გამოცოცხლება სუფევდა კვირას, 10 დეკემბერს თბილისის გასაწვევ პუნქტში. აქ შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის ხელმძღვანელები. გასაწვევი პუნქტის ახლომდებარე ეზოებში გამოვიდნენ ასობით თბილისელი, — საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვეული ახალგაზრდების ნათესავები. ამ დღეს თბილისი საბჭოთა არმიის რიგებში აცილებდა ღირსეულ შვილებს.

გასაწვევი პუნქტის დიდ მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა მ. იაშვილმა.

ახალგაზრდებს გზა დაულოცეს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა გენერალ-მაიორმა ვ. მურუსიძემ, თბილისის 69-ე საშუალო სკოლის პიონერმა დ. კოსტანინამ, კომკავშირელმა, თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ თ. ნიკოლაიშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ეკანიამ.

მიტინგზე გამოსულნი მხურვალედ ულოცავდნენ ახალგაზრდებს სახელოვანი შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვას და მოუწოდებდნენ წმიდათა წმიდად დაიცვან მამებისა და უფროსი ძმების გმირული საბრძოლო ტრადიციები.

გასაწვევთა სახელით მიტინგზე გამოვიდნენ ხ. გოგოხია და ა. პრეფატჩენსკი. მათ შეკრებილთ აღუთქვეს, რომ მშობლიური საბჭოთა არმიის რიგებში, სამსახურის პირველი დღეებიდანვე ვუფლობდეთ ბრძოლისუნარიანობას, თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას და იარაღს, ზუსტად დაიცავენ სამხედრო ფიცს, გახდებიან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიალონნები.

პიონერებმა გასაწვევთა თაიგულები მიართვეს.

(საქდესი).

ეუშა-გაერთიანებული

თავადდებულმა შრომამ ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის მექანიკური საამქროს მრავალი შოთა გალოგრე საქმიანად ცნობილი გახადა. ჯერ იყო და პარტიის XXIII ყრილობის დელეგატად აირჩიეს, შემდეგ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოეს.

შოთა თხუთმეტი წლის წინათ მოვიდა ქარხანაში. დირექტორს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი გაუწოდა და სამუშაოზე მოწყობა სთხოვა. საამწყობო საამქროში გაგზავნეს. აქ მიიღო პირველი შრომითი ნათლობა.

საამწყობო საამქროდან შოთა მექანიკურ საამქროში გადავიდა. რთული მექანიზმები, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი სამუშაო უფრო იზიდავდა. სწავლობდა ტექნიკურ ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობდა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ბიუროს საქმიანობაში, შეჰქონდა თავისი წინადადებები. ამიტომ „უდიპლომო ინჟინერი“ შეარქვეს.

...ქარხანამ ახალი დაკვეთა მიიღო. ელიფსური ტიპის დიტალების მოსაჭრელად ახალი ჩარხი იყო საჭირო. შ. გალოგრემ წინადადება შეიტანა ძველი გადაკეთებინან. ნახაზიც შეადგინა. ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ბიურომ შ. გალოგრეს წინადადება მოიწონა. ბიუროს დახმარებით ჩარხი წარმატებით დადაკეთეს, რამაც სახელმწიფო დაკვეთის ვადამდე შესრულება უზრუნველყო. შოთა პირველმა წარმატებამ ალაფრთოვანა. შემდგომში მისმა მრავალმა წინადადებამ ათასობით მანეთი დაუზოგა ქარხანას.

ხუთწლედის ადამიანები

◆

მთავარი ის როდია, რომ უშუალოდ ჩარხთან, მხოლოდ შრომის ფრონტზე აღწევდე წარმატებას. საბჭოთა ადამიანი მოწინავე უნდა იყოს ცხოვრების ყველა სფეროში. ეს კარგად ესმის შოთას, ამიტომ მუდამ ცდილობს საზოგადოებრივი თუ სხვა საქმიანობაში ამხანაგებისათვის სამაგალითო იყოს. შოთა როგორც სანიმუშო კომუნისტი, ქარხნის პარტიული ბიუროს წევრად აირჩიეს. აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

— შოთა ამჟამად ექვს ჩარხს ემსახურება. ეს ჩვენს ქარხანაში ნოვატორობაა, — გვითხრა პარტბიუროს მდივანმა ე. ნინუამ.

შოთას ირგვლივ ჩარხები წრიულად ისე იყო განლაგებული, რომ ოსტატს რაც შეიძლება ნაკლები დრო დაეხარჯა მათს მომსახურებაზე, ჩვენ რომ მივედით, შოთა კბილანა დეტალს ამზადებდა. როგორც კი შეგვნიშნა, ხალისიანი თბილი ღიმილით გამოგვეწოდა ხელი.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— ახალი ავტომატის დეტალებს ვამზადებ, — გვიპასუხა მან.

— ჩვენს ნოვატორს, — საუბარში ჩაერია პარტბიუროს მდივანი, — ახალი მანქანისათვის დეტალების დასამზადებლად ქვლავ მოუხდა ჩარხის გადაკეთება და ავტომატიზაციის ბიუროს კარგი იდეაც შესთავაზა.

შოთამ მთელ ქარხანაში გაითქვა სახელი ზუსტი დეტალების დამზადებით. ისე ადვილად ერკვევა რთულ ნახაზებში, თითქოს კონსტრუქტორთა თანაავტორი იყოს.

— რა გავიკეთე საიუბილეო წელს? — ინერეს ჩვენს კითხვას. უძნელდება თავის თავზე ლაპარაკი. უხერხული მდგომარეობიდან ისევ პარტბიუროს მდივანს გამოჰყავს.

— შოთამ უმოკლეს დროში ითვისა კბილსაჭრელი ახალი დანგა, 10-15 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ პროდუქციის უდეფექტო გამოშვებაზე, მისი მსოფლიო სტანდარტების დონემდე აყვანის გზებზე. ამ მხრივ შოთა გალოგრე საუკეთესო მაგალითს იძლევა. იგი უდეფექტო წარმოების აბსოლუტურ დონეს აღწევს და ამიტომაც საკუთარი დამღის საპატიო უფლებაც მოიპოვა.

ქარხანა ყოველწლიურად ბევრ სხვადასხვა ტიპის მანქანას უშვებს, რაც ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული, მაგრამ მუხედავად ამისა, მისი კოლექტივი საწარმოო ვალებს მუდამ ვადამდე და გადაჭარბებით ასრულებს. კოლექტივის ასეთი წარმატება ყველა მანქანათშენებლის, შოთა გალოგრესა და სხვა მოწინავე ადამიანების მუყაითი შრომის შედეგია.

მ. დონაური.

სურათზე: შ. გალოგრე.
ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

მუდამ პირველ რიგში

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ორმოცი წლისთავისათვის

„ამ ადამიანის ნებისყოფისა და ვაჟკაცობის წინაშე მე ქედს ვიხრი“ — წერდა გაზეთ „პრავდის“ ამ წლის 30 ნოემბრის ნომერში დიდი სამამულო ომის მონაწილე, იურისტი ა. კორეცკი.

ეს სტრიქონები ეხებოდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს ივანე ლობოს, რომელმაც ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტი დამთავრა იმის შემდეგ, რაც სტალინგრადთან მძიმე ჭრილობის შედეგად მხედველობა დაკარგა. უსინათლომ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო ახლა ემზადება სადოქტორო დისერტაციის დასაცავად.

„ვაჟკაცობა“, ასეა დასათაურებული „პრავდაში“ დაბეჭდილი კორესპონდენცია. როცა კორეცკიმ უთხრა ივანე ლობოს: სადოქტორო დისერტაციის დაცვა ძალიან ძნელია, თავი დაანებე, დაისვენო, მან უპასუხა:

— განა არ გახსოვს, რას ვამბობდით ოქ, ფრონტზე, ბრძოლის წინ: „კომუნისტებო, წინ!“

როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, არ შეიძლება არ მოგვაგონდეს დიდი სამამულო ომის მონაწილე გმირი ქართველები, რომლებმაც თავიანთ ხალხს, თავიანთ სამშობლოს შესწირეს ის, რაც ადამიანისათვის სიცოცხლესავით ძვირფასია — შესწირეს თვალის სინათლე.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვახტანგ გაჩეჩილაძე** პროფესიით ექიმია. მან ბევრ მებრძოლს შეუხვია ჭრილობა ფრონტზე, ბევრი სიკვდილის გადარჩენა, ბევრი სამუდამოდ დასახიჩრებისგან იხსნა და თვითონ უსინათლო დაბრუნდა. თავის საყვარელ პროფესიასაც გამოეშვიდობა, მაგრამ ამაღლდა როგორც გამოჩენილი სამეცნიერო მუშაკი და საზოგადო მოღვაწე. აკვირდები მის საქმიანობას, ხელმძღვანელობთს უნარსა და ოსტატობას, და გაოცებს მისი ენერგია, ჩაუქრობელი ოპტიმიზმი და კეთილშობილება, რომლითაც ის გამსჭვალულია უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებში გაფენილ მრავალფეროვან ცხოვან მუშა-მოსამსახურეთა მიმართ. იგი ერთნაირად ზრუნავს თვალხილულებისა და უსინათლოებისათვის, რომლებიც ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ...

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ამას წინათ გამოუშვა კრებული, რომელშიც მოთხრობილია დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველი ჟურნალისტების საბრძოლო თავგადასავალი. ერთ-ერთი ნარკვევი ამ კრებულში მიძღვნილია ჟურნალისტ **გრიგოლ ქადაგიძისადმი.** ქალაქ როსტოვთან გაიფრენებულ ბრძოლებში ეს მონაწილეობას იღებდა არა ავტოკალმით, არამედ ავტომატური ტყვიამფრქვევით, გმირულ მაგალითებს უჩვენებდა მებრძოლ ამხანაგებს, თითქოს ეუბნებოდა მათ: მე მხოლოდ ალმით ვწერდი. ახლა ტყვიით ვწერ ჩვენი ხალხის გმირული ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორიასო.

ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად მოსულმა მტერმა იგიმი მისი „ტყვიით ნაწერი“, მაგრამ თვითონაც ვერ დაბრუნდა დაღდაუსმელი. სიკვდილ, აჯობა, მაგრამ მხედველობა კი შესწირა დიდი გამარჯვების საქმეს. მან, უსინათლომ, ყველაზე ადრე დაინახა ეს გამარჯვება.

თავის საყვარელ პროფესიას — საგაზეთო მუშაობას გამოეშვიდობა, სამაგალითო ერთ-ერთი მოწინავე სამეურნეო მუშაკი გახდა. 40 წელია, რაც საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება არსებობს. 25 წელია, რაც გრიგოლ ქადაგიძე ხელმძღვანელობს უსინათლოთა საზოგადოების პიუიტრის კომბინატს. ქადაგიძემდეც არსებობდა აქ უსინათლოთა საზოგადოების განყოფილება, მაგრამ ფართო მასშტაბის კომბინატად იგი იქცა სწორედ გრიგოლ ქადაგიძის ხელმძღვანელობით. ამ კომბინატის ქიმიური საამქროს ნაწარმი, მაგალითად „ნედი“, ცნობილია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მოსკოვსა და ლენინგრადში, ხაბაროვსკსა და რიგაში, კალინინგრადსა და ყარაგანდაში.

„ღვაწლს ვერ დაგიფასებთ ვერავინ,
სულ დღე-ღამე რომ გითვალთნ,
გვსურს სალი თვალითა ვუცქიროთ,
რაც გაკეთეთ უთვალოდ.
მართლაც ზღაპრული ხალხი ხართ,
ქებაც ზღაპრული შეგფერით,
როდი აკლია სინათლე,
რაც უსინათლოდ შექმენით“.

ასეთი სტრიქონები უძღვნა პოეტმა გ. წერეთელმა უსინათლოთა საზოგადოების მშრომელთ, ამ საზოგადოების ხელმძღვანელებს. მართლაც ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს უსინათლოთა შრომითს საქმიანობაზე. რა დიდი ნებისყოფა, რა საოცარი ზეიადამიანური ძალა და ვაჟკაცობა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელმაც მხედველობა ხალხის ბედნიერების შესწირა და მაინც ახალი ცხოვრების მშენებელთა პირველ რიგშია.

თავმადა შეიძლება მათი მისამართით გავიმეოროთ „პრავდაში“ დაბეჭდილი სტრიქონები: „ამ ადამიანების ნებისყოფისა და ვაჟკაცობის წინაშე ქედს ვიხრით“.

გ. ჟელბაჭიანი.

მოსავლის ზეიმი

